საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

16 ივლისი, 2018 წელი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №210/17

-- -- 2017 წლის 27 ნოემბრის №- საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 12 ივნისის №210/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორმა აღნიშნა მოსამართლე -- -- გადაწყვეტილება დაასაბუთა ისეთი ფაქტობრივი გარემოებებით, რომლებიც სხდომაზე არ განხილულა, ასევე არ მიიღო საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებები მხედველობაში და დაარღვია გადაწყვეტილების მომზადებისათვის კანონით განსაზღვრული ვადა.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2017 წლის 6 მარტს -- -- სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის -- -- მიმართ, შემდეგი მოთხოვნით: მოპასუხეს აეკრძალოს -- -- კუთვნილი უძრავი ქონების

უკანონოდ ფლობა და მისი გამოსახლება. ასევე მოითხოვა ზიანის ანაზღაურება - 5527 აშშ დოლარის ოდენობით. (მოსამართლე-- --)

2017 წლის 21 აპრილს, მოსარჩელემ სასამართლოს წარუდგინა მოპასუხისათვის სარჩელის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი. (-- -- შესაგებელი წარადგინა 2017 წლის 21 აპრილს).

მოხსენებითი ბარათის საფუძველზე სამოქალაქო საქმე (განტვირთვის მიზნით) 2017 წლის 15 ივნისს განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

მოსამართლე -- -- პირველი მოსამზადებელი სხდომა ჩაატარა 2017 წლის 5 ივლისს, რომელიც გაგრძელდა 2017 წლის 19 ივლისს, ხოლო შემდგომ - 2017 წლის 1 სექტემბერს.

მოსამართლემ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გადადო 2017 წლის 27 სექტემბერს.

2017 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილებით -- -- უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

გადაწყვეტილება 2017 წლის 9 ნოემბერს გასაჩივრდა -- -- მიერ.

2017 წლის 14 ნოემბერს -- -- წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს გადაწყვეტილების ჩაბარების თაობაზე. გადაწყვეტილება მას გადაეცა 2017 წლის 17 ნოემბერს.

გადაწყვეტილება 2017 წლის 20 ნოემბერს გადაეგზავნა მოპასუხეს -- --, რომელსაც ჩაბარდა 2017 წლის 22 ნოემბერს.

-- -- წარმომადგენელმა სააპელაციო საჩივარი 2017 წლის 27 ნოემბერს წარადგინა სასამართლოში.

-- სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვა ამ ეტაპზე მიმდინარეობს.

2.2. 2017 წლის სტატისტიკური მონაცემებით მოსამართლე -- -- განსახილველად ეწერა 545 სამოქალაქო საქმე, ხოლო ამათგან დაასრულა 270 სამოქალაქო საქმე (49,5%).

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ

გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა. ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლის თანახმად პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე წყდება არსებითად, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილების ფორმით. ამავე კოდექსის 244-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს, განსაზღვრავს, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოებებია დადგენილი და რომელი - დაუდგენელი, რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული ამ საქმეზე და დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს თუ არა სარჩელი. მოსამართლე -- --, 2017 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილების მიღებისას მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში და სარჩელის დაკმაყოფილება/არ დაკმაყოფილების საკითხის შეფასება მის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენდა. თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი სარჩელი საფუძვლიანია იგი დააკმაყოფილებს მას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი პირიქით, უარს ეტყვის მხარეს მის დაკმაყოფილებაზე.

რაც შეეხება საჩივრის ავტორის მითითებას იმ გარემოებაზე, რომ გადაწყვეტილება მომზადდა კანონით განსაზღვრული ვადის დარღვევით. როგორც საქმის მასალებში ჩანს, მოსამართლემ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება გამოაცხადა 2017 წლის 27 სექტემბერს, ამდენად მხარისათვის გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყო 2017 წლის 28 ოქტომბრიდან და დასრულდა 2017 წლის 10 ნოემბერს. ამ დროისთვისაც მხარეებს -- საქალაქო სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ჩაბარებული არ ქონდათ. მოსარჩელის წარმომადგენელმა -- -- სააპელაციო საჩივარი წარადგინა ფორმალურად, რათა გასაჩივრების ვადა არ გაეშვა. გადაწყვეტილება მხარეს გადაეცა (17.11.2017) საპროცესო

კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადის 21 დღის დარღვევით. აღსანიშნავია, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისათვის გადაცემას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ თვალსაზრისით, რომ მხარეს მიეცეს შესაძლებლობა გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება ზემდგომ ინსტანციაში. 2017 წლის 9 ნოემბერს მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა 2017 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება. ამდენად, მოსამართლის ქმედებას არ მოყოლია მხარისათვის მისი საპროცესო უფლების წართმევა, მიემართა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოსათვის. ვადის დარღვევის უმნიშვნელო ხასიათის, ასევე, ზემოთხსენებული სტატისტიკისა და მოსამართლის დატვირთულების გათვალისწინებით, კონკრეტული საქმის განხილვის ვადები ვერ ჩაითვლება არაგონივრულ ვადად. მოსამართლე -- -- მხრიდან „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 14 ხმით) მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №210/17 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი